



საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. № 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel./Fax: (+995 32) 2 395 350

www.atipfund.gov.ge

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების
სახელმწიფო ფონდი

State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking



KA030872574334715

№ 07-68/ო

07 / აპრილი / 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბალანსზე მარაგების სახით რიცხული ქონების სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტოს №310 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესისა და პირობების“ მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 27 მარტის №01/21837 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს განსაკარგავად გადაეცეს სსიპ – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბალანსზე რიცხული ამ ბრძანების დანართში მითითებული ქონება.

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონების სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემასთან დაკავშირებით საქართველოს მოქმედი

კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებას და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერას განახორციელებს სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი **დავით ზაიდოშვილი**.

3. ამ ბრანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოადგილეს **ბელა გოგუას**.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. #6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ბელა გოგუა

ბ. გოგუა